

შპს ალფა ტრეიდი

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი.....	5
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
4. ფული და ფულის ექვივალენტები.....	13
5. სავაჭრო მოთხოვნები	13
6. გადახდილი ავანსები.....	13
7. სავაჭრო ვალდებულებები	14
8. მიღებული ავანსები.....	14
9. სასესხო ვალდებულებები.....	14
10. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	15
11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	15
12. ხელფასები და სხვა სარგებელი.....	16
13. ტრანზაქციები და კავშირებულ მხარეებთან	16
14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	16

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-24	31-12-23 (გადაანგარიშებული)	31-12-22 (გადაანგარიშებული)
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	137,626	148,300	361,630
სავაჭრო მოთხოვნები	5	41	138,103	342,915
გადახდილი ავანსები	6	256,877	1,220,291	829,159
საგადასახადო აქტივი		82,477	59,218	127,536
სხვა მიმდინარე აქტივები		-	-	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		477,021	1,565,863	1,661,240
გრძელევადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები		30	84	139
სულ გრძელევადიანი აქტივები		30	84	139
სულ აქტივები		477,051	1,565,996	1,661,379
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	7	1,445	148,790	352,914
მიღებული ავანსები	8	207,423	785,483	902,534
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	9	-	225,739	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		333	407	457
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		209,201	1,160,419	1,255,905
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		18	18	18
გაუნაწილებელი მოგება		267,833	405,510	405,456
სულ საკუთარი კაპიტალი		267,851	405,528	405,474
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		477,052	1,565,996	1,661,379

დირექტორი



კონსტანტინე აფციაური

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან	10	12,290,368	16,520,609
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	10	(12,118,139)	(16,311,481)
საერთო მოგება		172,229	209,128
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(33,421)	(34,355)
ხელფასები და სხვა სარგებელი	12	(20,263)	(23,132)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი		(55)	(55)
სხვა შემოსავლები		47,515	240,139
სხვა ხარჯები		(1,593)	(17,814)
მოგება პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		132,739	373,911
საპროცენტო ხარჯი		(19,815)	(22,518)
მოგება/(ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან		(11,858)	(35,005)
მოგება დაბეგვრამდე		132,739	316,388
მოგების გადასახადი		(42,810)	(47,450)
წმინდა მოგება		89,929	268,938

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარი	18	405,454	405,472
დივიდენდის გაცემა	-	(268,884)	(268,884)
წმინდა მოგება	-	268,939	268,939
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	18	405,509	405,527
დივიდენდის გაცემა	-	(227,605)	(227,605)
წმინდა მოგება	-	89,929	89,929
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერი	18	267,833	267,851

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ალფა ტრეიდი დაფუძნდა 2019 წლის 07 ივნისს. კომპანიის მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ი. აბაშიძის ქუჩა # 22, ბინა # 46. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 405339281.

კომპანიის მეწილეებს წარმოადგენენ: 50% კონსტანტინე აფციაური (პ/ნ: 01024028651), 50% ღერმიშხანი ნადირაძე (პ/ნ: 13001007514).

კომპანიის დირექტორს წარმოადგენს კონსტანტინე აფციაური.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გაყიდვითი ხორცპროდუქტების იმპორტი და მისი შემდგომი რეალიზაცია როგორც ადგილობრივ ბაზარზე ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებებზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში

ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

2024 წელს კომპანიამ ჩაატარა საწყისი ნაშთების, მათ შორის არამონეტარული და მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შედეგად კომპანიამ გადაიანგარიშა და დააკორექტირა საწყისი ნაშთები. გარდა ამისა, უკეთესი პრეზენტაციის მიზნით, კომპანიამ მოახდინა გარკვეულ ანგარიშებს შორის ნაშთების გადაკლასიფიცირება. ფინანსური უწყისები, რომელიც გადაანგარიშდა, მონიშნულ იქნა „გადაანგარიშებული“-ს კლასიფიკაციით. შედეგად, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ წარმოადგინა სამი წლის საბალანსო უწყისი. გარდა ამისა, შედარებისთვის, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ ასევე წარმოადგინა გასულ პერიოდში გამოქვეყნებული ფინანსური უწყისები, რომელთა გადაანგარიშებაც მოხდა მიმდინარე პერიოდში:

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე):

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-23	31-12-22 (გადაანგარიშებული)	31-12-21 (გადაანგარიშებული)
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	148,300	361,630	141,610
სავაჭრო მოთხოვნები	5	138,103	342,915	748,842
გადახდილი ავანსები	6	1,220,291	829,159	1,418,847
საგადასახადო აქტივი		59,169	127,536	76,628
სხვა მიმდინარე აქტივები		-	-	1,867
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,565,863	1,661,240	2,387,794
გრძელევადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები		84	139	194
სულ გრძელევადიანი აქტივები		84	139	194
სულ აქტივები		1,565,947	1,661,379	2,387,988
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	7	148,790	352,914	303,678
მიღებული ავანსები	8	785,483	902,534	1,113,721
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	9	225,739	-	370,900
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		407	457	1,312
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,160,419	1,255,905	1,789,611
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		18	18	18
გაუნაწილებელი მოგება		405,510	405,456	598,359
სულ საკუთარი კაპიტალი		405,528	405,474	598,377
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1,565,947	1,661,379	2,387,988

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2023	2022 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან	10	16,520,609	19,393,220
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	10	(16,311,481)	(19,062,222)
საერთო მოგება		209,128	330,998
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(34,355)	(39,991)
ხელფასები და სხვა სარგებელი	12	(23,132)	(33,231)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი		(55)	(55)
სხვა შემოსავლები		240,139	13,934
სხვა ხარჯები		(17,814)	(15,316)
მოგება პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		373,911	256,339
საპროცენტო ხარჯი		(22,518)	(12,241)
მოგება/(ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან		(35,005)	(25,552)
მოგება დაბეგვრამდე		316,388	218,546
მოგების გადასახადი		(47,450)	(61,814)
წმინდა მოგება		268,938	156,732

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე)

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარი	18	598,359	598,377
დივიდენდის გაცემა	-	(349,635)	(349,635)
წმინდა მოგება	-	156,732	156,732
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	18	405,456	405,474
დივიდენდის გაცემა	-	(268,884)	(268,884)
წმინდა მოგება	-	268,938	268,938
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	18	405,510	405,528

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მითანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი განვლის პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის

დარიცხვა წდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ოფისის აღჭურვილობა	5

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. კომპანიის მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომლიც დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

კომპანიას არჩეული აქვს თვითღირებულების მოდელი. შესაბამისად, არ ხდება ძირითადი საშუალებების საბაზრო ღირებულებაზე გადაფასება.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირება ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

3.3 ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საზღაურის სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ გარიგების ხარჯების (მათ შორის სესხის გაცემის საკომისიო) წრფივი ამორტიზაციის მეთოდი არ იძლევა მატერიალურ სხვაობას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდთან, ასეთ შემთხვევაში ხდება ამ ხარჯების წრფივი ამორტიზაცია და საპროცენტო ხარჯში აღიარება დროის გასვლის პროპორციულად. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

3.4 გადასახადები

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

3.5 შემოსავალი

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება

იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.6 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის ღირეფქტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

3.7 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფულის ძირითადი ნაწილი განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე.

2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-24	31-12-23
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	14,073	14,935
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	123,553	133,365
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	137,626	148,300

5. სავაჭრო მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები უკავშირდება როგორც ადგილობრივ ბაზარზე რეალიზებულ პროდუქციასთან და ასევე პროდუქციის ექსპორტთან საქართველოს ფარგლებს გარეთ.

2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

სავაჭრო მოთხოვნები	31-12-24	31-12-23
მოთხოვნები ადგილობრივი რეალიზაციიდან		27
მოთხოვნები პროდუქციის ექსპორტიდან	41	138,075
სულ სავაჭრო მოთხოვნები	41	138,103

6. გადახდილი ავანსები

კომპანიის გადახდილი ავანსები ძირითადად უკავშირდება პროდუქციის იმპორტს და შესაბამისად მათი უდიდესი ნაწილი არარეზიდენტებზეა გადახდილი.

2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

გადახდილი ავანსები	31-12-24	31-12-23
არარეზიდენტებთან წარმოქმნილი ავანსები	250,483	1,219,827
სხვა ავანსები	6,394	464

სულ გადახდილი ავანსები	256,877	1,220,291
------------------------	---------	-----------

7. სავაჭრო ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო ვალდებულებები ძირითადად წარმოშობილია საქართველოს ფარგლებს გარეთ რეგისტრირებულ კომპანიებთან.

მათი ბალანსები 2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

სავაჭრო ვალდებულებები	31-12-24	31-12-23
არარეზიდენტებთან წარმოქმნილი სავაჭრო ვალდებულებები	61	146,361
რეზიდენტებთან წარმოქმნილი სავაჭრო ვალდებულებები	1,384	2,429
სულ სავაჭრო ვალდებულებები	1,445	148,790

8. მიღებული ავანსები

კომპანიის მიღებული ავანსები შედგება როგორც პროდუქციის ექსპორტს ასევე ადგილობრივი კომპანიებისაგან მიღებული ავანსებისაგან.

2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

მიღებული ავანსები	31-12-24	31-12-23
ადგილობრივი კომპანიებისაგან მიღებული ავანსები	128,557	157,053
პროდუქციის ექსპორტიდან მიღებული ავანსები	78,866	628,431
სულ მიღებული ავანსები	207,423	785,483

9. სასესხო ვალდებულებები

კომპანიას სასესხო ვალდებულება არ აქვს.

10. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გაყინული ხორცპროდუქტების იმპორტი და მისი შემდგომი რეალიზაცია როგორც ადგილობრივ ბაზარზე ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ.

შესაბამისად 2024 და 2023 წლების განმავლობაში კომპანიამ შემოსავლები მიიღო როგორც პროდუქციის ექსპორტიდან ასევე ადგილობრივი მიწოდებიდან.

დარიცხული შემოსავალი და მიწოდებული პროდუქციის თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

	2024	2023
შემოსავალი	12,290,368	16,520,609
შემოსავლები ადგილობრივი რეალიზაციიდან	6,627,392	9,443,703
შემოსავლები პროდუქციის ექსპორტიდან	5,662,976	7,076,906
თვითღირებულება:	(12,118,139)	(16,311,481)
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(12,118,139)	(16,311,481)
	-	-
საერთო მოგება	172,229	209,128

11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2024	2023
საბანკო მომსახურების ხარჯი	10,672	15,561
ბუღალტრული მომსახურების ხარჯი	19,950	18,692
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	2,799	102
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	33,421	34,355

12. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. აღნიშნულ სარგებელში ასევე შედის კომპანიის წილი 2% საპენსიო სარგებელი, რომელსაც კომპანია უმატებს თანამშრომელს საკუთარი სახსრებით.

ხელფასებისა და სხვა სარგებლის ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელფასები და სხვა სარგებელი	2023	2023
დაკავშირებულ პირებზე გაცემული ხელფასები და სხვა სარგებელი	5,836	8,571
სხვა დაქირავებულ პირებზე გაცემული ხელფასები და სარგებელი	14,427	14,561
სულ ხელფასები და სხვა სარგებელი	20,263	23,132

13. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

2024 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 5,836 ლარი, ხოლო 2023 წელს 8,571 ლარი.

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ აღგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.